# ტყუპების ტომარა

## კლასი I
## საანბანო საკითხავი წიგნი, ასო-ბგერა „ტ“

წიგნის გამოყენება რეკომენდებულია ერთობლივი კითხვის, ასევე, წყვილებში კითხვისა და მართული კითხვის აქტივობების ჩასატარებლად.

ავტორთა ჯგუფი: **თათა ჭანტურია, მაია ლორთქიფანიძე, ხათუნა რაზმაძე, მაკა მახარობლიძე, ლელა ქისტაური, ქეთი ფიცხელაური**

მხატვარი: **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project

# ტყუპების ტომარა

კატო და ტატო ტყუპები არიან.
დღეს ტყუპები ტყეში მიდიან.

ტყეში ტბაა. ტბაზე ტივია.
ტბა ტივით უნდა გადაცურონ.

კატო და ტატო ბარგს ალაგებენ.
ბარგი ზურგჩანთაში არ ეტევა.

ტენეს, ტენეს, ვერ ჩატენეს.
კატომ ტომარა მოიტანა.

ტატომ ჩადო ტელეფონი,
კატომ – კეპი,
ტატომ – ტამტამი,
კატომ – ტაშტი,
ტატომ – ატამი,
კატომ – ტანსაცმელი,
ტატომ – ტანკი,
კატომ – ტელევიზორი.
ტენეს, ტენეს და ძლივს ჩატენეს.

ტომარა ძალიან დამძიმდა.
ტყუპებმა ტაქსი გამოიძახეს.

ტაქსით ტყესთან მივიდნენ.
ტყესთან სხვა ბავშვებიც
დახვდნენ.

ბავშვებმა ტომარას შეხედეს.

— ო, ეს რამხელა ტომარაა?!

— ამდენ ბარგს ვერ წავიღებთ! ტივი ჩაიძირება.

— მარტო აუცილებელი ნივთები უნდა წავიღოთ.

კატომ და ტატომ ტომარა გახსნეს.

ტყუპები ჩაფიქრდნენ.

რა არის აუცილებელი?

ტანსაცმელი – კი,
ტამტამი – არა,
ატამი – კი,
ტანკი – არა,
ტელეფონი – კი,
ტაშტი – არა,
კეპი – კი,
ტელევიზორი – არა...

კატომ და ტატომ ზედმეტი ნივთები ტომარაში ჩააწყვეს.

— ეჰ, რა ტყუილად ვატარეთ!



ტომარა ტაქსის უკან გაატანეს.

ბავშვები ტივზე დასხდნენ და ტბა გადაცურეს.